პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი პირველი

კომუნისტი

ს. კ. პ.
ცენტრ. და თბილისის
კომიტეტის და
საქრევკომის
ორგანო.

21 სექტემბერი
ოთხშაბათი

1919. ლოტარინგიის პარტია შეუერთდა მე 3 ინტერნაციონალს.

1918. იტალიელი ჯარები გადმოსხდნენ საბჭოთა რუსეთის ერთ ერთ ნავთ სადგურში.

1917. რუსეთის და პეტროგრადის საბჭოს პრეზიდიუმის არჩევნებში ბოლშევიკებმა გაიმარჯვეს.

რედაქციის მისამართი:
თბილისი, კრუზენშტერნის ქ., № 4. რედაქცია ღიაა ყოველ დღე გარდა კვირა უქმეებისა დილ. 10 ს.—2 ს.

ტელეფონები: სარედაქციო კოლეგ. № 1476. მდივნის № 19 საერთო №

გაზეთის და [illegible]
და გაცემა სწარმოებს საქართველოს ცენტრალურ ბეჭდვითი განყოფილებაში, რუსთაველის ქ., № 4.
ტელეფონი №

დღიური

— დღეს, 21 სექტემბერს სრულდება [illegible] განსაკუთრებული ლაშქრის სამი წლის თავი [illegible] თბილისში საზეიმო დღესასწაული [illegible]

ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 166 ოთხშაბათი, 21 სექტემბერი, 1921 წ. ყოველდღიური გაზეთი ოთხშაბათი, 21 სექტემბერი. 1921 წ. № 166

კავკასიის ცალკე არმია სამი წელიწადი ებრძვის საბჭოთა ხელისუფლების მტრებს.
კავკასიის ცალკე არმია სამი წელიწადია გზას უკაფავს მშრომელთა დიქტატურას.
კავკასიის ცალკე არმია ერთი საუკეთესო ნაწილთაგანია მუშურ-გლეხური წითელი ჯარის.
გაუმარჯოს კავკასიის ცალკე არმიას! გაუმარჯოს მის ხელმძღვანელს--საბჭოთა მთავრობას!

ჩვენი სალამი

მსოფლიო პროლეტარული რევოლიუციის ხერხემალია სახელოვანი რუსეთის კომუნისტური პარტია, მატარებელი ფოლადისებური სიმტკიცის.

მსოფლიოს მშრომელთა კლასის წინამძღოლია იგი, აღჭურვილი ნათელი პროლეტარული კლასიური შეგნებით, გამომხატველი ამომავალი კლასის სიდიადის და მძლეთა-მძლეობის.

ძველი, ბურჟუაზიული ქვეყნისადმი სიძულვილითაა ის გაჟღენთილი და ამ საღვთო სიძულვილს და მჩაგვრელ კლასთან ბრძოლას ასწავლის დასავლეთის და პატარა აღმოსავლეთის მშრომელ მასსებს.

მან არ იცის ყოყმანი მტერთან ბრძოლის დროს, მას სჩვევია წინ სვლა იარაღით ხელში და თუ უკან იხევს, მხოლოდ ძალის მოსაკრებად, ხელახალი იერიშის მისატანად უცვლელი მიზნის მისაღწევათ.

მეოთხე წელიწადია ის სანგრებშია გაწოლილი პროლეტარული რესპუბლიკის მტრების წინააღმდეგ. მეოთხე წელიწადია ის ცდილობს ქვეყნის ეკონომიური ჯანმრთელობის აღდგენას. ერთს ხელში რომ ვინტოვკა უჭერია, მეორეთი საქმიანობს სახალხო მეურნეობის დარგში, აჩაღებს მიმქრალ ფაბრიკა ქარხნებს, ფეხზე აყენებს წელგატეხილ სოფლის მეურნეობას. აურიცხველი მსხვერპლი გაიღო მან ამ ბრძოლაში, ხშირად სისხლისგან იწრიტებოდა, მაგრამ პროლეტარული კლასის ნებისყოფის მოკრებით, ის სძლევდა ხოლმე მორიგ, ერთი შეხედვით გარდუვალ და დაუძლეველ დაბრკოლებას.

მან მოიპოვა მშრომელთ ხელისუფლება, მან შეინარჩუნა მშრომელთა დიქტატურა, საბჭოთა ძალაუფლება. ასეთია რუსეთის კომუნისტური პარტია, ის ტვინი და ნება პროლეტარიატისა და სოფლის მშრომელთა.

მისი სისხლი სისხლთაგანი და ძვალი ძვალთაგანია სახელოვანი მუშურ-გლეხური წითელი ჯარი, ლაშქარი მებრძოლი კომუნიზმის, გუშაგი მშრომელთა დიქტატურის, დამცველი საბჭოთა ხელისუფლების. მასში შედუღებულია დიადი მიზნის შეგნება, პროლეტარიატის კეთილშობილური აღმაფრენა ფიზიკურ სიძლიერესთან სამართლიანი საქმისათვის მებრძოლთა სიგმირესთან.

მშრომელთა რევოლიუციის საშოდან იშვა ის, თვითმპყრობელობის ჯარისგან მას დარჩა მხოლოდ საომარი მასალა და რამდენიმე სამხედრო საქმის მცოდნე სპეციალისტი, მქონებელ კლასებიდან გამოსული. თავისი წყობილება, თავისი ორგანიზაცია მან გასჭედა თითონ კომუნისტური პარტიის და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელობით.

თავისი საკუთარი სახე მან მიიღო იმ მრავალ სისხლიან ბრძოლა შეტაკებებში, რომელსაც ის აწარმოებდა დასავლეთით და აღმოსავლეთით, ჩრდილოეთით და სამხრეთით.

ყველგან ის იჩენდა საარაკო სიგმირეს, გამძლეობას, უნარს. მან უკუაქცია უთვალავ ფრონტებზე მტრის დაგეშილი გენერლების არმიები, შორს გადისროლა საბჭოთა რესპუბლიკის საზღვრებიდან მსოფლიო იმპერიალიზმის ურდოები.

რუსეთის წითელი ჯარი ანარეკლია რუსეთის კომუნისტური პარტიის და რუსეთის საბჭოთა ძალაუფლების.

წითელი ვარსკვლავის შუქმოფენილი, კომუნისტური ინტერნაციონალის მოელვარე დროშის ქვეშ დამდგარი, წითელი ჯარი იმედი და სასოებაა საერთაშორისო მუშათა კლასის, მისი სიამაყე. მაგრამ პროლეტარული, მშრომელთა კლასიური ჯარის შემადგენლობაში არის ნაწილები, რომლებიც ალმასივით ელვარებენ მშრომელთა დიქტატურის დამცველ ჯარში. ერთი ასეთი ნაწილია ჩვენს რესპუბლიკაში და მთელს ამიერ-კავკასიაში მდგომი, კავკასიის გამათავისუფლებელი „კავკასიის ცალკე არმია“, წინეთ მეთერთმეტე არმია.

1918 წ. აგვისტოში დაიბადა ის სამოქალაქო ომის ჭექა-ქუხილში და სამი წლის განმავლობაში ბრძოლის კვამლიდან არ გამოსულა. ურალის მთებიდან მოკიდებული, ვიდრე ოსმალეთის საზღვრამდე, ის შეუპოვარი ბრძოლით სწმენდდა მშრომელთა ტერიტორიას მეფის გენერლებისაგან და საერთაშორისო იმპერიალიზმის შავს ურდოებისგან. ყველგან ყოველთვის მას მოჰქონდა თან მშრომელთა მეუფება, დამჩაგვრელთა დათრგუნვა.

ხიშტის მუშაობას ხალხის მტრების წინააღმდეგ ის ავსებდა პოლიტიკური მუშაობით განთავისუფლებულ ხალხთა შორის, ამას უმატებდა შესვენების დროს თავისი მარჯვენით ხალხისადმი დახმარებას ქალაქებში და მინდვრებში.

ასეთია კავკასიის ცალკე არმია, უძლეველი მშრომელთა არმიის საუკეთესო ნაწილი.

დღეს ჩვენ ვდღესასწაულობთ ამ ჯარის არსებობის და ბრძოლის სამი წლის თავს. დღეს საბჭოთა რუსეთის და ყველა განაპირა საბჭოთა რესპუბლიკების მშრომელთა თვალი და გულისყური მიპყრობილია კავკასიის ცალკე არმიისაკენ.

ჩვენი მხურვალე სალამი მას! გაუმარჯოს მას სამუდამოდ! გაუმარჯოს მის მომავლინებელს საბჭოთა ხელისუფლებას!

რევოლიუციის ლაშქარი

დიდმა ოქტომბრის რევოლიუციამ დასაწყისი მისცა ახალ ერას კაცობრიობის ისტორიაში. არსებულ ეკონომიური ურთიერთობის დასანგრევათ, დამონებული კლასების და ერების განსათავისუფლებლათ ბრძოლის საკითხის ისტორიული დღის წესრიგში პრაქტიკულათ დასმა, ამ ბრძოლის მსოფლიოს მასშტაბში წარმოება—ასეთი იყო დროშა ამ რევოლიუციის. ასეთი დიდი მიზნებისათვის საჭირო იყო მძლეთა მძლე სამხედრო ძალა, მან შექმნა ასეთი ძალა: გმირული წითელი არმია. ის არ შეიძლება გვანებოდა ძველ ბურჟუაზიულ მილიტარისტულ ჯარს არც თავის დანიშნულებით, არც თავის შემაკავშირებელ ძალების მიხედვით, რამოდენიმეთ არც შემადგენლობით, არც შენებით, დაბოლოს არც სამხედრო დისციპლინის უნარით. უძლიერესათ განვითარებული კაპიტალიზმი თავის საშოში ატარებდა და ატარებს ძალებს, დამანგრეველს არა მარტო თავის ეკონომიური და პოლიტიკური სისტემისას, არამედ ელემენტებს, დამშლელს თავის მილიტარისტული ძლიერებისას. და ჩვენ მოწამენი შევიქნით ახალი საუკუნის დასაწყისში ამ ძალების დემორალიზაციის, უდისციპლინობის და იქ რევოლიუციონური სულისკვეთების გავრცელების. სულ სხვანაირია, რევოლიუციის ცეცხლით აღგზნებული ქვეყნის განმათავისუფლებელი ახალი, წითელი არმია, არმია რევოლიუციის. თავის უმნიშვნელოვანეს ნაწილში მას შეგნებული აქვს დიდი მიზნები, რომელიც დაისახა სოციალისტურმა რევოლიუციამ, მას შეგნებული აქვს დამონებული კაცობრიობის განმათავისუფლებელი თავის მოწოდება. ეს მან დაამტკიცა დაუნდობელ მტრებით გარშემორტყმულ რუსეთის ყველა ფრონტებზე, ბრწყინვალე გამარჯვებით დათავებულ რევოლიუციონურ ომებში. მან შექმნა ძლიერება მუშურ-გლეხური სახელმწიფოსი, მან თავისი გმირული ბრძოლით იმედი ჩაუნერგა გულში თავის განთავისუფლებისათვის ბრძოლაში ჩაბმულ საერთაშორისო პროლეტარიატს, მან მედგრად წინ წასწია კომუნისტური რევოლიუციის საქმე მთელ მსოფლიოში და სიკვდილი დაანახა მთელ მონათმფლობელ ქვეყნიერებას. თვის მოსისხლე მტრების სიტყვითაც კი ის წარმოადგენს უძლიერეს სამხედრო ძალას ჩვენი დროისას. ამ წითელი ჯარის ერთი სახელოვანი ნაწილთაგანია მე 11 არმია, კავკასიის განსაკუთრებული არმია, რომლის დაარსების სამი წლის თავს ჩვენ ვდღესასწაულობთ დღეს. ამ წლების განმავლობაში თავგანწირული ბრძოლით და უამრავ მსხვერპლის გაღებით მან დაამარცხა სამხრეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთის კონტრ-რევოლიუცია, მისივე ძლიერი რკინის ხელის დახმარებით განთავისუფლდა ამიერ-კავკასიაც დასავლეთის მტაცებლური იმპერიალიზმის ბრჭყალებისა და აქაური ბურჟუაზიული კლასებისაგან. მისი ძლიერი დახმარებითვე იბრძვის დღეს რუსეთის პროლეტარიატთან ერთად და იმარჯვებს კავკასიის, კერძოთ საქართველოს, მშრომელი ხალხი. ამ გამარჯვების უდიდესი გმირია კავკასიის განსაკუთრებული არმია.

გაუმარჯოს რევოლიუციის ლაშქარს, გაუმარჯოს კავკასიის განსაკუთრებულ არმიას!

მე XI არმია

...მე-XI არმიის გმირული ბრძოლა იწყება 1918 წელს ყუბანში. მაშინ ახალგაზრდა საბჭოთა ხელისუფლებას ჯერ კიდევ არ ყავდა მოწყობილი წითელი არმია; დასავლეთით ის გარშემორტყმული იყო და მას თავს ესხმოდა გერმანიის იმპერიალიზმი, ჩრდილოეთით და აღმოსავლეთით—ანტანტა, რომელმაც ჩეხო-სლოვაკელების, დუტოვის, კოლჩაკის და სხვა შავი გენერლების აჯანყება მოაწყო.

საბჭოთა რუსეთისთვის ამ მძიმე დღეებში, მე 11 არმიის მომავალი პოლკები მაშინ ჯერ კიდევ ჩამოუყალიბებელი, მოწყვეტილი თავის მშობლიურ დედა—რუსეთს, სამკვდრო ბრძოლას აწარმოებდნენ კორნილოვის, ხოლო შემდეგ—ალექსეევ—დენიკინის ურდოებთან. კორნილოვის რაზმებს, რომლებიც მთლად ოფიცრებისაგან შესდგებოდნენ, თავის გენერალ კორნილოვთან ერთად, ეკატერინოდარის კედლებთან ეთხრებოდათ სამარე.

1918 წლის გაზაფხულს, გერმანელების მიერ დონის მაზრის და უკრაინის დაპყრობას შემდეგ მოხალისეთა არმიის პოლკები გენ. ალექსეევის მიერ დონში შედგენილნი, საუკეთესო გენერლების უფროსობით ყუბანისაკენ მიიწევდნენ. დაიწყო უდიდესი ბრძოლა. ერთის მხრივ სამხედრო მეცნიერების წესების მიხედვით მოწყობილნი, თითქმის სამი მეოთხედით ოფიცრებიდგან შემდგარი პოლკები, რკინის დისციპლინით შედუღებულნი, რომელნიც მზად იყვნენ თავი გაეწირათ მემამულეთა და კაპიტალისტურ რუსეთისათვის, ძველი რუსეთისათვის,—მეორე მხრივ მოუწყობელნი, საკმაოდ მოუმარაგებელნი, საბჭოთა რუსეთიდგან მოწყვეტილნი, მაგრამ მუშურ გლეხური რუსეთისათვის,—ახალ რუსეთისათვის,—ბრძოლის ხალისით ანთებულნი,—მეთერთმეტე არმიის მომავალი პოლკები.

მთელი მე-18 წლის განმავლობაში არ შეწყვეტილა ზარბაზნების გრიალი ყუბანის და სტავროპოლის ველებს და მთებზე. ყველაზე საუკეთესო კონტრ-რევოლიუციური არმია, რომლის სამი მეოთხედი ოფიცრებისაგან შესდგებოდა, რომელიც არაჩვეულებრივ გმირობას იჩენდა და მიიწევდა, რაც შეიძლებოდა ადრე, ბოლო მოეღო ყუბანისა და ჩრდილო კავკასიისათვის, რათა შემდეგ დახმარებოდა მოსკოვის წინააღმდეგ მიმავალ არმიებს,—ებრძოდა სისხლიდან დაცლილ მე 11 არმიას. და მიუხედავად ყველა მათი მსხვერპლისა, სასიკვდილო რკალში მიმწყვდეული 11 არმია ანადგურებს, სპობს ოფიცერთა საუკეთესო პოლკებს.

დიდება და პატივი გმირებს, რომელნიც გმირულად განაგრძობენ ბრძოლას შრომის წითელი დროშის ქვეშ.

ორჯონიკიძე.

კომინტერნის მესამე კონგრესი

2 ივლისი. საღამოს სხდომა.

სხდომა იხსნება ამხ. ლენინის თავმჯდომარეობით. გრძელდება კამათი ტაქტიკის შესახებ.

სიტყვა ეძლევა ამხ. ზინოვიევს.

აქ ბევრი ბაასი იყო, ამბობს ამხ. ზინოვიევი იმის შესახებ, რომ ვის წინააღმდეგ უნდა ვებრძოლოთ: მემარცხენეების, თუ მემარჯვენეების წინააღმდეგ. მე ვფიქრობ, რომ ეს კითხვა ცოტათი პრიმიტიულია; იგი ვერ არის წამოყენებული სწორედ. ამაზე ჩვენ უნდა ვიმსჯელოთ გარკვეულ ტენდენციების თვალსაზრისით, რომელნიც არსებობენ მუშათა მოძრაობაში. მეორე კონგრესზე ეგრედ წოდებული მემარცხენეთა საფრთხე, როგორც ორგანიზაციულათ შეკავშირებული ძალის, არ იყო დიდი. მაგრამ ეს ტენდენციაც წარმოადგენდა დიდ საშიშროებას ინტერნაციონალისათვის მომავალში. მოიგონეთ დეკანის, რადის და სხვა ამერიკელ მეგობრების უარყოფითი დამოკიდებულება. ჩვენ რომ იმათთვის დაგვეჯერებია, გავაკეთებდით ჟუოს და ყვითელ ინტერნაციონალის სხვა ბელადების საქმეს. განვითარების პროცესში შეიძლება მოხდეს, რომ ჩვენს შორის ფეხი მოიდგას მემარცხენეთა ტენდენციებმა და ერთ მშვენიერ მომენტში შეიქნენ ძალიან საშიშარნი. კამათში გამოირკვა, რომ ეგრედ წოდებული მემარცხენეთა ტენდენციები ეხლაც ისე არსებობენ როგორც მეორე კონგრესის დროს. ამხ. ბელი უკმაყოფილოა იმით, რომ მე აღვნიშნე სექტანტური საფრთხე ინგლისში და ამერიკაში. სხვა და სხვა მოვლენებმა, რომლებიც თან ახლდა ნახშირზე მომუშავეთა გაფიცვას და სხვ., გვიჩვენეს, რომ ინგლისში ჩვენი ამხანაგები კიდევ ვერ დაუახლოვდნენ მუშათა მასსებს. წარსულ წლის განმავლობაში ჩვენ ამ მხრივ მივაღწიეთ ზოგიერთ შედეგებს და მესამე კონგრესს არ შეუძლია არ გამოსთქვას ამ კითხვის შესახებ გარკვეული აზრი.

მეორე საფრთხე მდგომარეობს ახალგაზრდა პარტიების მიერ ბრძოლის უდროოთ დაწყებაში. არავის არ შეუძლია უარყოს, რომ ცბიერი ბურჟუაზია პროვოკაციის საშუალებით მოისურვებს მუშების გამოსვლის დაჩქარებას. იტალიის საკითხის [illegible] ჩემთვის ცხადია, თუ რატომ ასე ადვილად მოხდა ჩვენი იტალიელი ამხანაგების აღელვება. ამაში ბრალი უდევს სოციალისტებს და ცენტრისტებს. 1920 წლის სერატი და მასთან მთელი იტალიის დელეგაცია დარწმუნებული იყო, რომ იტალიაში საკმაოდ სერიოზულია მდგომარეობა დიდი რევოლიუციონურ მოძრაობისთვის. სერატი და იტალიის დელეგაცია იმ აზრის იყვნენ, რომ გლეხების და არმიის უმრავლესობა იმათკენ იყო და ეხლა თქვენ უნდა დაიწყოთ თავიდან, და ეს, უეჭველია, წარმოადგენს ნაბიჯს უკან გადადგმულს. ამაში ბრალი უდევს სერატის. აი რატომ არის ჩემთვის გასაგები, თუ რა საფრთხის წინაშე სდგას ახალგაზრდა კომუნისტური პარტია. იგივე დაემართა გერმანელებსაც. კაპის დროს კონტრ-რევოლიუციამ გადმოისროლა ნაპერწკალი, რომელმაც მუშათა კლასი დასწვა. პროლეტარიატი მზად იყო ბრძოლისათვის, ხელისუფლების დაპყრობა მისთვის ადვილი განსახორციელებელი იყო. რასაკვირველია, პროფკავშირების ბიუროკრატია ძველი სოციალ-დემოკრატია და დამოუკიდებლები გამოვიდნენ წინააღმდეგ და ჩაშალეს მოძრაობა. პროლეტარულმა პარტიამ გაუშვა მომენტი. და გასაგებია, როცა გერმანიის მუშათა კლასის უმთავრესი რევოლიუციონური ნაწილი კრიზისს განიცდიდა, მაშინ პროლეტარიატის სხვა ნაწილები იჩენენ მოუთმენლობას და ცდილობენ უდროოთ ბრძოლის დაწყებას. კიდევ საჭიროა აქ ხაზი გაესვას იმას, რომ მთავარი დანაშაულობა მიუძღვისთ ამაშიც სოციალ-დემოკრატებს, მუშათა კლასის ამ ნამდვილ გამცემლებს. მაგრამ ნამდვილ დამნაშავეთა გაკიცხვით ჩვენ ვერ დავკმაყოფილდებით და ანგარიში უნდა გაუწიოთ იმ საფრთხეს, რომელიც, თუმცა ცენტრისტებიდან გამომდინარეობს, წარმოადგენს ჩვენთვის მომაკვდინებელ საფრთხეს. არ შეიძლება ასე პრიმიტიულად საკითხის დაყენება: ვინ არის მემარჯვენეების და ვინ მემარცხენეების [illegible]. რასაკვირველია, მემარჯვენეთა საფრთხე გამომდინარეობს იმ უბრალო ფაქტიდან, რომ ჩვენს რიგებში იმყოფებიან ბურჟუაზიის აგენტები. ამსტერდამის ინტერნაციონალი რომ ბურჟუაზიის მხარეზე არ ყოფილიყო, ჩვენ დიდი ხნის გამარჯვებული ვიქნებოდით. ჩვენ გავიმარჯვებთ მაშინ, როცა მუშა კლასი ამ სიძნელეს დასძლევს. მაგრამ იქიდან, რომ მემარჯვენეები ჩვენი მტრები არიან, სრულებით არ გამომდინარეობს, რომ ჩვენ ანგარიში არ უნდა გაუწიოთ საფრთხეს მარცხნიდან. ამხ. როლანდ ჰოლსტი, მაგალითად ამბობდა, რომ ისინი არიან ჩვენი საუკეთესო მეგობრები, ყოველ წუთს მზათ არიან პროლეტარულ რევოლიუციას თავი შესწირონ, და ამისათვის დიდი საფრთხე არ არისო. არა, სწორედ იმიტომ, რომ ისინი ჩვენი მეგობრები და ამხანაგები არიან, სწორედ, იმიტომ, რომ ისინი ჩვენს რიგებში არიან და შეუძლიათ ჩვენთან ერთად მუშაობა, ყოველი მათი შეცდომა შეიძლება შეიქნეს საშიშარი, მომაკვდინებელი კომუნისტური ინტერნაციონალისათვის. აქედან წარმოსდგება გამწვავებული კამათი ეგრედწოდებულ მემარცხენეებთან. არ შეიძლება მემარცხენეებად და მემარჯვენეებად

პარტიის გაწმენდა

მორიგ საკითხად დადგა პარტიის მთელი პიროვნული შემადგენლობის საერთო, გენერალური გადასინჯვა, შემოწმება და იქიდან განდევნა ყველა არა საიმედო, საეჭვო, ყველა უვარგის, ყველა ანგარებით შეპყრობილ ელემენტების.

ჩვენ წინაშე დგას დღეს მრავალი ფრიად საყურადღებო და მეტად სერიოზული საკითხები, როგორიც არის, მაგ. ნატურალური გადასახადის ცხოვრებაში სისწორით და უმტკივნეულოთ გატარება, რკინის გზის ტრანსპორტის აღდგენა, სოციალისტური მეურნეობის ფეხზე დაყენება, ბრძოლა შიმშილთან, სიცივესთან, ავადმყოფობასთან და სხვა და სხვა. მაგრამ პარტიის გაწმენდის საკითხი დღეს ყველა დანარჩენ კითხვაზე წინ უნდა იქნას დაყენებული. ვფიქრობ, რომ ამას დიდი ახსნა-განმარტება არ უნდა ესაჭიროებოდეს.

რაშია საქმე?

კომუნისტური პარტია დღევანდელ პირობებში საოცარი სისწრაფით იზრდება, მას ყოველი მხრიდან ეტანებიან. ჩვენ რომ დღეს პარტიაში ვიღებდეთ ყველა იმათ, ვინც ამის სურვილს აცხადებს, საქართველოში ახლა ჩვენ უკვე ვეებერთელა, რამდენიმე ათეული ათასისგან შემდგარი კომუნისტური პარტია გვეყოლებოდა. მაგრამ ჩვენ მაგრათ ჩავკეტეთ პარტიის კარები და რამდენიმე თვეა პარტიაში ახალ წევრებს სრულებით აღარ ვიღებთ. მაგრამ არავისთვის დასამალავი არ უნდა იყოს ის ფაქტი, რომ ჩვენ პარტიაში მაინც მოასწრეს შემოსვლა და მოკალათება ბევრმა გაიძვერა და მავნე პირებმა, რომლებიც თავისი მოქმედებით ჩირქს სცხებს პარტიას და რომლებიც [illegible] სახელს იყენებენ ისეთ საქმეებისთვის, რასაც არავითარი კავშირი არ აქვთ კომუნიზმთან.

უწინარეს ყოვლისა ჩვენ უნდა გამოვიყენოთ რუსეთის კომუნისტური პარტიის უდიდესი გამოცდილება, განსაკუთრებით ამ უკანასკნელ 3-4 წლის განმავლობაში. რას გვიჩვენებს ეს გამოცდილება?—1917 წლის აპრილის თვეში ბოლშევიკურ ორგანიზაციების სრულიად რუსეთის პირველ ლეგალურ კონფერენციაზე წარმოდგენილი იყო სულ 40.000 დე პარტიის წევრი. ცოტა ხნის შემდეგ, ივლისის თვეში, პარტიამ განიცადა კონტრ-რევოლიუციის თავდასხმა, ამას რამოდენიმე თვის განუწყვეტელი ბრძოლის შემდეგ მოყვა ოქტომბრის რევოლიუცია, რასაც შედეგათ მოყვა კომუნისტური პარტიის მუშათა და გლეხთა სახელმწიფოს სათავეში მოქცევა, კომუნისტური პარტია არის ერთბითათ შეიქნა პროლეტარული ბრძოლის პარტიათ, რომელიც დაუპირდაპირდა ყველა დანარჩენ პარტიებს, როგორც წმინდა ბურჟუაზიულს, ისე ნახევრად, ან წვრილ ბურჟუაზიულ (მენშევიკებს, ესერებს და სხვ.) პარტიებს. თავისთავად იგულისხმება, რომ ამ ხნის განმავლობაში კომუნისტურ პარტიას შეეძლო მიეზიდა თავისკენ მხოლოდ პროლეტარული ელემენტები. ე. ი. ქალაქის და სოფლის მუშები, რომლებიც შედიოდნენ პარტიაში არა პირადი ინტერესების გულისთვის, არა მაღალი ადგილების, პოსტების, დასაჭერათ სახელმწიფოში, არამედ თავისი თავის მსხვერპლათ შესაწირავად პროლეტარული რევოლიუციის [illegible]. რა თქმა უნდა, ამ ხნის განმავლობაში პარტია იზრდებოდა და უნდა ითქვას, იზრდებოდა განსაკუთრებით საღი ელემენტებით ასე რომ დაახლოვებით ერთი წლის განმავლობაში (1917 წ. აპრილიდან 1918 წლის მარტამდე) პარტიის წევრთა რიცხვი ავიდა 40.000-დან 150.000 დე. აქედან მოყოლებული პარტია შეუჩერებლათ და მეტათ აჩქარებული ტემპით იზრდებოდა, ასე რომ სამი წლის შემდეგ, 1921 წლის მარტის თვეში მეათე ყრილობაზე წარმოდგენილი იყო უკვე 700.000 ზე მეტი წევრი. ყველამ კარგათ იცის, თუ ამ ხნის განმავლობაში რუსეთის კომუნისტურ პარტიას რა ენით გამოუთქმელი გასაჭირი დაატყდა თავს, თუ რა სასტიკ იერიშებს უძლებდა და იგერიებდა იგი, მაგრამ მიუხედავად ამისა პარტია მაინც საოცარი სისწრაფით იზრდებოდა. ამ ზრდას ვერას აკლებდა ვერც სხვადასხვა ფრონტებზე დაღუპულ ამხანაგების საკმარისათ დიდი რიცხვი, ვერც რამოდენიმეჯერ განმეორებით მოხდენილ რეგისტრაციის დროს პარტიიდან კარგა ბლომათ გარიცხულ წევრების რაოდენობა.

თავისთავად იგულისხმება, რომ, პარტიის ზრდა დადებითი მოვლენაა, თუ ეს ზრდა ჯანსაღია, თუ პარტია ივსება საღი ელემენტებით, თუ იქ თავს იყრიან მუშა ხალხისადმი ერთგულნი და მისთვის თავდადებული პირები, და არა ისეთი ელემენტები, რომელთაც არც პარტია სწამთ და არც კომუნიზმი, რომელთაც ამოძრავებთ და ამოქმედებთ მხოლოდ თავისი პირადი ინტერესები, მდიდრულათ ცხოვრება, მაღალი ადგილების დაჭერა (კარიერიზმი და სხვა და სხვა). ცნობილი ფაქტია, რომ რუსეთის კომუნისტურ პარტიაში, მიუხედავათ მრავალჯერ განმეორებით მოხდენილ რეგისტრაციისა, აქა-იქ შეძვრენ ან მოასწრეს დარჩენა მრავალმა საეჭვო პირებმა, ბევრმა მატყუარებმა და გაიძვერებმა. მაშინ როცა პარტიის საუკეთესო პროლეტარული ელემენტები, პარტიის ნამდვილები სხვა და სხვა ფრონტზე სიცოცხლეს სწირავდენ მუშათა კლასის და მისი ხელისუფლების გასამარჯვებლათ, შინ, ზურგში, პარტიის და საბჭოთა ხელისუფლების დაწესებულებებში თავს იყრიდენ არა თუ უბრალო მშიშრები და დეზერტირები, არამედ პირდაპირ არამზადები, ქურდები და ავაზაკები. რუსეთს მეტათ დიდი ტერიტორია უჭირავს, და ეს ავაზაკები შედარებით ადვილათ ახერხებდენ თავიანთ დანაშაულის კვალის მიფუჩეჩებას ადგილის გამოცვლით, ერთი ქალაქიდან მეორე ქალაქში გადასვლით, და ამ გარემოებას ხელს უწყობდა განუწყვეტელი სამოქალაქო ომი, ე. ი. სამხედრო მდგომარეობა.

მერე როგორ ფიქრობთ? წარმოიდგინეთ რომ ამ ვაჟბატონების წინააღმდეგ ბრძოლა უმეტეს შემთხვევაში პირდაპირ შეუძლებელი შეიქნა, ერთი იმიტომ რომ კომუნისტის სახელწოდება და პარტიის წევრობა იმათ რამდენიმეთ ხელშეუხებლათ ხდის, მეორეც ის, რომ ეს ავაზაკები ხშირათ პარტიის გავლენიან პირებში პოულობდენ მფარველობას. ყოველივე ეს მეტათ სამწუხაროა, მაგრამ ეს ფაქტია. მეტია ლაპარაკი იმაზე, თუ ყოველივე ეს როგორ და რა ზომამდე უტეხს პარტიას სახელს, სცემს მის პრესტიჟს, პატივისცემას, ხალხში გახშირდა შემთხვევები, როცა პატიოსანი რევოლიუციონერები, განსაკუთრებით მუშებიდან, ვეღარ უძლებდენ პარტიის სახელის შელახვას და ამჯობინებდენ პარტიიდან გასვლას. თავისთავათ იგულისხმება, რომ ამ მიზეზით პარტიიდან გასვლა მეტად შეცდარი ნაბიჯია, ეს ნიშნავს იარაღის დაყრას და ბრძოლიდან გაქცევას და ამ ნაბიჯს ჩვენ ვგმობთ. მაგრამ ასე თუ ისე, რუსეთის პარტია ასეთი ფაქტის წინაშე, წარდგა; ერთი მხრით პარტიიდან გარბოდენ პატიოსანი ელემენტები, მეორე მხრით პარტიაში განაგრძობდენ ყოფნას სხვა და სხვა არამზადები და მატყუარები თავისი ბინძური საქმეებით. პარტიის წინაშე მწვავეთ დადგა საკითხი ისეთი არა ნორმალური მდგომარეობისაგან თავის დასაღწევათ. საჭირო შეიქნა არაჩვეულებრივ ზომებისთვის მიმართვა. აქ ჩვეულებრივი ზომებით, როგორც მაგ. ხელახალი რეგისტრაცია წევრების. როგორც ეს არა ერთხელ მოხდარა, პარტია ვერას გახდებოდა. საჭირო შეიქნა ახალ ლონისძიების, ახალ საშუალებისთვის მიმართვა ესაა კომუნისტური პარტიის მთელი პიროვნული შემადგენლობის თავიდან ბოლომდე პირწმინდათ სასტიკი გადასინჯვა და შემოწმება. ვინც კი აღმოჩნდება არასაიმედო ან საეჭვო, ვისაც აღმოაჩნდება ან წარსულში ან აწმყოში რაიმე ბნელი საქმის ჩადენა, ვისაც დაუმტკიცდება პარტიისთვის თავის მინებება ან ღალატი იმ დროს, როცა იგი გაჭირვებას განიცდიდა, ვინც შემოვიდა პარტიაში პირადი ინტერესებისთვის, დიდი საპასუხისმგებლო ადგილის მისაღებათ, ვინც კომუნისტის სახელს სახელწოდებას იყენებს ბოროტათ, სხვის დასაჩაგრავათ, თავისი პირადობის ან თავის ნაცნობ-ნათესავების სასარგებლოთ,—ყველა ეს ვაჟბატონები ვეებერთელა ცოცხით უნდა განიდევნონ პარტიიდან. არავითარი დაზოგვა, არავითარი შებრალება აქ დასაშვები არაა. რამდენიმეთ შეიძლება შეღავათიანი მოპყრობა მხოლოდ მუშების და გლეხების მიმართ, რამდენათაც ისინი თავის ჩაქუჩს და გუთანს არ მოშორებიან. მაგრამ შეუძლებელია რაიმე შეღავათზე ლაპარაკი ინტელიგენტების, საბჭოთა დაწესებულებების მოსამსახურეების მიმართ.

[illegible] არაჩვეულებრივ, ასეთ განსაკუთრებულ ზომას ესაჭიროებოდა განსაკუთრებული ორგანოების შექმნა, და აი რუსეთის კომუნისტურმა პარტიამ შექმნა განსაკუთრებული ცენტრალური და საგუბერნიო კომისიები პარტიის წევრების გადასასინჯათ, შესამოწმებლათ და გასაწმენდათ, მასთან თვით კომისიები შემდგარია ძველი პარტიული მუშებისაგან, რომელთაც გამოვლილი აქვთ არალეგალური მუშაობა, რომლებიც იბრძოდნენ როგორც მეფის, ისე კერენსკის დროს კომუნიზმის დროშის ქვეშ. კომისიების ყველა წევრების სახელები და გვარები გამოქვეყნებულია. მთელი პასუხისმგებლობა იმათ აწევთ. თვით გადასინჯვა და შემოწმება ხდება იაჩეიკების კრებებზე, მათთან ყველა მოქალაქეს უფლება აქვს კომისიაში შეიტანოს საჩივარი და საერთოთ ყოველგვარი მასალა ამა თუ იმ კომუნისტის მოღვაწეობის შესახებ. თავისთავათ იგულისხმება, რომ პარტიის წევრებს არა თუ აქვთ ასეთი განცხადებების შეტანა, არამედ მათ ევალებათ. მაგრამ ყველამ უნდა იცოდეს, რომ ამ უფლების ბოროტათ გამოყენება არავის არ ეპატიება. ამნაირათ რუსეთში ეს უდიდესი საპასუხისმგებლო მუშაობა უკვე სწარმოებს და კიდევაც ჩქარა დამთავრდება. ჩვენ ეჭვი არ გვებადება იმაში, რომ რუსეთის კომუნისტური პარტიის მიერ დაწყებულ საქმეს კეთილი და სასურველი შედეგი მოყვება, რომ პარტია გაიწმინდება ყველა უვარგისი და მავნე ელემენტებისაგან, რომ რუსეთის კომუნისტური პარტია დარჩება ისეთი, რის სახელიც მას მოხვეჭილი აქვს საერთაშორისო რევოლიუციონური პროლეტარიატის თვალში, ის იყო, არის და დარჩება პროლეტარიატის პარტიათ.

მაგრამ საჭიროა აქვე აღვნიშნოთ კიდევ ერთი გარემოება, სახელდობრ ის, რომ ასეთი განსაკუთრებული ზომის მიღება თავისი თავის პარტიის შესახებ, ასეთი გაწმენდა თავისი საკუთარი რიგების საჯაროთ, მთელი ქვეყნის წინაშე, ჯერ არსად არცერთ პარტიაში არ მომხდარა, და ჩვენ გადაჭრით ვამბობთ, რომ ასეთ ოპერაციას არა თუ ვერ გაბედავდა, არამედ ვერც მოიფიქრებდა ვერცერთი პარტია. მხოლოდ კომუნისტურ პარტიას შეუძლია ასე დაუზოგველათ და ასე შეუბრალებლათ გაწმინდოს თავისი რიგები, ვინაიდან იცის, რომ იქ განზრახ შეძვრნენ არასასურველი, არაპროლეტარული ელემენტები, რომელთაგან ის უთუოდ უნდა განთავისუფლდეს.

ამხანაგებმა უკვე იციან, რომ დღეიდან ჩვენც შევუდექით პარტიის გაწმენდის საქმეს.

საქართველოს კომუნისტური პარტია მაინცდამაინც მრავალრიცხოვანი არ არის. მასში ითვლება დაახლოვებით 18 000 დე წევრი. აქ ორ გარემოებას უნდა გაუწიოთ ანგარიში. 1) თავის დიდი უმრავლესობით ადგილობრივი კომუნისტური პარტია ახალგაზრდაა, ძველი წევრების რიცხვი მეტათ მცირეა, 2) მასში გლეხური ელემენტები სჭარბობენ წმინდა პროლეტარულ ელემენტებს.

ამას ესაჭიროება განმარტება. პირველი: ჩვენი პარტია ახალგაზრდაა იმ აზრით, რომ როგორც მასიური ორგანიზაცია იგი იშვა მხოლოდ 1917 წლის თებერვლის რევოლიუციის შემდეგ, და სამი წლის განმავლობაში იატაკქვეშ არსებობის შემდეგ, მხოლოდ ხუთი ექვსი თვეა რაც იგი ლეგალურათ ცხოვრობს და სახელმწიფო მართვა-გამგეობას სათავეში უდგას, ამიტომ მას არ აქვს ჯერ შეძენილი ხანგრძლივი გამოცდილება; მას არ შეეძლო შექმნა და ჩამოყალიბება მტკიცე მაგარი ორგანიზაცია რკინის დისციპლინით.

მეორე, ჩვენ ვთქვით, რომ საქარ. კომუნისტურ პარტიაში დღეს ჭარბობენ გლეხური ელემენტები. როგორ მოხდა, ან რით აიხსნება ეს?—ცნობილია, რომ საქართველო მრეწველობის მხრით ჩამორჩენილია, მაშასადამე, პროლეტარიატიც, როგორც კლასი აქ შედარებით სუსტი უნდა იყოს. მესამე მხრით, ეს პროლეტარიატიც თითქმის უკანასკნელი 15 წლის განმავლობაში მენშევიკების წვრილბურჟუაზიული და შოვინისტური აგიტაციის ობიექტათ იყო გამხდარი. აშკარაა, რომ ამას მეტად მავნე შედეგები უნდა მოჰყოლოდა და მოჰყვა კიდევაც. ქართველ მენშევიკებმა აიყოლიეს და ჩაითრიეს ქალაქის მუშები პროლეტარული რევოლიუციის წინააღმდეგ ბრძოლაში; მაგრამ სამაგიეროთ საქართველოს გლეხკაცობის დიდ უმრავლესობაში მათ დაკარგეს ყოველივე გავლენა; იმავე დროს ჩვენ ვხედავთ, რომ საქართველოს გლეხკაცობაში გავლენა მოიპოვა როგორც კომუნისტურმა პარტიამ, ისე საბჭოთა ხელისუფლებამ, და მან ეს საქმითაც დაამტკიცა მთელი რიგი შეიარაღებულ აჯანყების მოწყობით მენშევიკების მთავრობის ჩამოსაგდებათ. აი რომ მოხდა ის, რომ როგორც კომუნისტური პარტიის, ისე საბჭოთა რესპუბლიკების უმთავრეს ბურჯათ საქართველოში თავიდანვე შეიქნა გლეხკაცობა, რა თქმა უნდა, მისი ულარიბესი ნაწილი. ამით ჩვენ იმის თქმა არ გვინდა, რომ კომუნისტური პარტია და საბჭოთა ხელისუფლება ქალაქის მუშებში არ პოულობენ თანაგრძნობას, პირიქით, უკანასკნელ დროს ისინიც ხდებიან ჩვენი თანამგრძნობნი და გვიჭერენ მხარს, მაგრამ როგორც პარტიის, ისე საბჭოთა ხელისუფლების ძალას ჩვენს გლეხკაცობაში ვპოვებთ. თავისთავად იგულისხმება, რომ ამ გარემოებას შეფერი ანგარიში უნდა გაეწიოს, მაგრამ არავინ არ უნდა იფიქროს რომ ამით კომუნისტური პარტია ჩვენში როგორც პროლეტარული პარტია რაიმე გარდაქმნას ან გადასხვაფერებას დაემორჩილოს, ე. ი. რომ კომუნისტური პარტია ჩვენში გარდაიქმნას გლეხურ პარტიათ. შეიძლება განვაცხადოთ, რომ ჩვენში იმდენათ დიდია და გავლენიანია პროლეტარული იდეოლოგია, პროლეტარული რევოლიუციის ლოზუნგები, იმდენათ პოპულარულია კომუნიზმის იდეები ხალხში, რომ ასეთი გარდაქმნის შიში ყოვლად უსაფუძვლოა. ყოველ შემთხვევაში ასეთი შიში შეუძლებელია არსებობდეს. მაგრამ არა ამ ელემენტებისაგან მოელის კომუნისტურ პარტიას საფრთხე. საფრთხე მოგველის ჩვენ სხვაგვარ ელემენტებისაგან.

ესენია ბურჟუაზიული წვრილბურჟუაზიული ინტელიგენტური ელემენტები, მენშევიკების, ესერების და სხვა პარტიებიდან გამოსული ელემენტები, რომლებმაც კარგათ მოიკალათეს საბჭოთა ხელისუფლების სხვადასხვა დაწესებულებებში, და არამარტო სახელმწიფო დაწესებულებებში, არამედ, სამწუხაროდ, შეიძლება თვით პარტიულ დაწესებულებებშიაც კი. [illegible] ამათში არასაიმედო, საეჭვო ან პირდაპირ მავნე ელემენტები, კარიერისტები, ისეთები, რომლებიც მენშევიკების ბატონობის ხანაში პარტიას გაურბოდენ და მენშევიკების საქმეს ემსახურებოდენ და მენშევიკების დამარცხების შემდეგ ისევ ჩვენ შემოგვეკედლენ, რომ „გამოსარჩენი“ და მაღალი ადგილები დაეჭირათ, „გაკამისარებულიყვნენ“. დიახ, ასეთები გვირევიან, და აი სწორედ ისინი უნდა იქნან გაძევებული ჩვენი პარტიიდან. დეე იცოდნენ, რომ მშიშრებს, „შკურნიკებს“, კარიერისტებს და საერთოთ არამზადებს პროლეტარიატის პარტიაში ადგილი არ აქვთ. თავისთავად იგულისხმება რომ პარტიიდან გამორიცხვა არ ნიშნავს სახელმწიფო ან საზოგადოებრივი სამსახურიდან დათხოვას. სრულებითაც არა. ასეთებს უმეტეს ნაწილათ შეიძლება მიეცემათ იმსახურონ საბჭოთა დაწესებულებებში; მაგრამ ამას შემდეგ იმათ ჩამოაკლდებათ სიამაყე, ყოყოჩობა, გაბედულება ბოროტმოქმედების ჩადენის დროს, განა ვინ არ იცის, რომ კომუნისტის სახელწოდება ხშირათ ფარავს დამნაშავეს და მხოლოდ იშვიათათია, რომ დამნაშავე კომუნისტი ბრალდებულის სკამზე წამოსკუპდეს.

აქედან თქვენ ხედავთ, თუ რა დიდი, თუ რა უაღრესად საპასუხისმგებლო საქმე აქვთ დაკისრებული გადამსინჯველ და შემმოწმებელ კომისიებს. ესაა უდიდესი ისტორიული ამოცანა. რამდენათაც შესაძლებელი იყო, ამ საქმისთვის მოწვეულნი არიან საუკეთესო ამხანაგები, რომლების სახელები და გვარები გამოქვეყნებულია. ამათ უნდა აიღონ ხელში კარგი და მაგარი ცოცხები და ჩამოუარონ პარტიის წყებებს. მთელი პარტია უნდა გატარებული იქნას საცერში. ყველა მავნე და უვარგისი ელემენტები, რომლებიც ზედით დარჩებიან, უნდა გადაიყარონ, და პარტია უნდა გაიწმინდოს, გაფაქიზდეს. კომისიების წევრები, რომლების გვარები გამოქვეყნებულია, გამოდიან ჩვენი პარტიის ნამდვილ [illegible] როლში.

კომისიების წევრებმა თავის მუშაობის დროს უნდა დაივიწყონ ყველაფერი, გარდა პარტიის გაწმენდისა, ვინაიდან იმათზეა დამოკიდებული პარტიის მომავალი ბედი. იმათ უნდა წარმოიდგინონ საქმე ისე, რომ ისინი ქმნიან დღეს ახალ პარტიას. აშკარაა, თუ რა დიდი სიფრთხილე მართებთ იმათ საქმის ფორმალურ, მხარეს რაც შეიძლება ნაკლები ყურადღება უნდა დაეთმოს, ყოველივე განცხადებას სერიოზული ყურადღება უნდა მიექცეს. არავითარი ფრაქციონური, არავითარი ჯგუფური მოსაზრებები, თუ ასეთი საერთოთ არსებობს და მით უმეტეს არავითარი პირადულ დამოკიდებულებას აქ ადგილი არ უნდა დარჩეს. მხოლოდ სრულიად ობიექტიური გამოკვლევა და გამორკვევა ამა თუ იმ კომუნისტის მოქმედების და აქედან სათანადო დასკვნის გამოყვანა. კიდევ ერთხელ უნდა განვმარტოთ, რომ ამ შემთხვევაში ლაპარაკია არა „კომუნიზმის ანბანის“ ცოდნაზე და გაზეპირებაზე, არამედ პარტიისადმი ერთგულებაზე, სინიდისზე და პატიოსნებაზე. რა თქმა უნდა უცოდველი არავინ არაა. შეცდომა ამ შემთხვევაშიაც მოსალოდნელია. მაგრამ უნდა მივიღოთ მხედველობაში შემდეგი გარემოებანი: 1) გადასინჯვა და შემოწმება იწყება იაჩეიკის საერთო კრებაზე კომისიის წევრის თანდასწრებით; 2) შემდეგ სხვადასხვა განცხადებები ან საჩივრები; 3) მთელი ეს მასალა უნდა გაირჩეს, აიწონ დაიწონოს სამაზრო კომისიის სხდომაზე; 4) უკანასკნელათ ყველა ეს მასალები და სამაზრო კომისიების მიერ დამტკიცებული სიები ხელახლა უნდა გადაისინჯოს ცენტრალურმა კომისიამ. მაშასადამე, თუმც შეცდომებიდან უზრუნველყოფილი არა ვართ სავსებით, ყოველ შემთხვევაში შეცდომების რიცხვი სულ მცირე, უმნიშვნელო უნდა დარჩეს. წინააღმდეგ შემთხვევაში ამოდენა მუშაობა ტყუილა ჩაივლის.

მაგრამ სრული იმედია, რომ ამხანაგები არც თავის თავს შეარცხვენენ, და არც პარტიას შეარცხვენენ. თუ პარტიის რომელიმე წევრი უვარგისი და მავნე პირია, იმის დაზოგვა და შებრალება შეუძლებელია, სულ ერთია ვინც უნდა იყოს ის, ძმა, მამა, დედა, ან ცოლი.

ჩვენ გვწამს, რომ აქედან ჩვენი პარტია გამოვა გაწმენდილი და განბანილი. იგი გამოვა, რიცხვით ნაკლები, მაგრამ სამაგიეროთ გაჯანსაღებული. ყველა დანარჩენ პარტიებს აინტერესებს თავისი წევრების რაოდენობა. მხოლოდ პროლეტარიატის პარტია აქცევს ამ გარემოებას ნაკლებ ყურადღებას. კომუნისტური პარტიის წევრობა ეს ისეთი დიდი სახელია, რომელიც რითიმე დამსახურებულ უნდა იქნას. გაიძვერებს, მშიშრებს, „შკურნიკებს“, სპეკულიანტებს, უსინდისოებს აქ შესვლის შესაძლებლობა უნდა მოსპობილი ქონდეთ.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ჩვენი პარტიაც სახელოვნათ შეასრულებს იმ საქმეს, რომელიც მას დღეს დაკისრებული აქვს. ვუსურვოთ მას სრული გამარჯვება და წარმატება დაწყებულ საქმეში!

ფ. მახარაძე.

18 სექ 1921 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაყოფა წამდაუწუმ ე. ი. თუ თუთხმეტი წუთი ილაპარაკე მემარცხენეების წინააღმდეგ, ხუთი წუთი კი მემარჯვენეების წინააღმდეგ, შენ ამით გამოიჩინე მემარჯვენეობა. საჭიროა შესწავლა ყველა შეცდომების რომელნიც გამომდინარეობენ ჩვენი მოძრაობის მოუმწიფებლობიდან და იმ სიძნელეთაგან, რომელსაც წარმოადგენს თანამედროვე გარდამავალი ხანა. აქ გარკვეულად იყო განცხადებული, რომ იტალიის სოციალისტური პარტია იმ დრომდის არ იქნება მიღებული კომუნისტურ ინტერნაციონალში, სანამ იმის წრიდან არ იქნება განდევნილი ბურჟუაზიის აგენტები. იტალიის კომუნისტურ პარტიასთან, როგორც კომუნისტურ ინტერნაციონალის წევრთან, ჩვენ აქ მეგობრულად ვმსჯელობდით იმ შეცდომებზე, რომელთა არსებობა სრულიად შესაძლებელია ვინაიდან ორგანიზაციულად კარგად შეკავშირებულ ბურჟუაზიას ყოველთვის შეუძლია პროვოკაციით გამოიწვიოს რევოლიუციონური მოძრაობა. მაგრამ, როცა სერატისტები გამოდიან და ამბობენ, რომ ისინი მიდიან ტურატთან ერთად იმიტომ, რომ ტერაჩინმა დაუშვა ზოგიერთი შეცდომები მოძრაობის შეფასებაში, ეს, უნდა გადაჭრით ითქვას, პირდაპირ თვალთმაქცობაა.

შემდეგ ამხ. ზინოვიევი გადადის გერმანიის საკითხზე, ციტატების მოყვანის შემ იმ განცხადებიდან, რომელიც მოთავსებული იყო „მოსკვაში" ამხ. ფრანკეს, ნეიმანის, მალცანის და ცეტკინის მიერ, ამხ. ზინოვიევი ამბობს რომ მარტის გამოსვლის შესახებ საკითხი მალე სასურველად გადაწყდება. თუ შევადარებთ რუსეთის დელეგაციის თეზისებს და ცეტკინის და გაერთიანებულ გერმანიის კომუნისტურ პარტიის შესწორებებს, მიუხედავად იმისა, რომ მათ შორის არსებობს ერთგვარი უთანხმოება, მაინც შესაძლებელია საკითხის ერთსულოვანი გადაჭრა. ჩვენ ამ საკითხის სრული შეთანხმების წინ ვდგევართ და ეს იქნება კონგრესის მნიშვნელოვანი შედეგი.

ამხ. მალცანი უსაყვედურებდა გუშინ ამხ. ჰეკერტს, რომ ის მწვავე სიტყვებს ხმარობდა, მაგრამ ხომ არც ამხ. მალცანი ხმარობდა სათუთ სიტყვებს. ამას, რასაკვირველია, არა აქვს მნიშვნელობა საკითხისათვის. უმთავრესი ის კი არ არის, რომ მარტის გამოსვლის შესახებ დაუსრულებლად ვიმსჯელოთ, არამედ ის, თუ რა იქნება შემდეგში. აი, სწორედ ეს საკითხი უნდა გაარკვიოს ეხლა კონგრესმა. პასუხი შეიძლება მხოლოდ ერთი: გერმანიის კომუნისტურ პარტიაში ახალი გათიშვა დაუშვებელია. კონგრესმა ხაზი უნდა გაუსვას იმ გარემოებას, რომ გერმანიის საკითხი არის არა ნაციონალური საკითხი, არამედ უმთავრესად ინტერნაციონალური. გერმანიის პარტიის ავადმყოფობაა არის საერთაშორისო ხასიათის ავადმყოფობა. ამით აიხსნება მთელი კონგრესის განსაკუთრებული ინტერესი ერთობისაკენ მიმართული. თუ ჩვენ ვამბობთ გაერთიანების მიღწევის შესაძლებლობაზე, ჩვენ ამავე დროს ვუჩვენებთ, რა ნიადაგზე შეიძლება იმას განხორციელება: ეს არის რუსეთის დელეგაციის მიერ წარმოდგენილი თეზისები.

გერმ. კომპარტ. ცენტრ. კომიტეტმა ამ ტრიბუნიდან არა ერთხელ აღიარა თავისი შეცდომები, და ოპოზიციამ ამხ. ცეტკინის პირით განაცხადა, რომ ის ეხლა დარწმუნდა იმაში, რომ მარტის ბრძოლებს ჰქონდა დიდი ისტორიული მნიშვნელობა. თქვენ გახსოვთ ამხ. ჰეკერტის სიტყვა, რომელსაც მხურვალედ შეხვდა მთელი კონგრესი. კონგრესი დადგა ამხ. ჰეკერტის მხარეზე იმიტომ, რომ მას გვერდში უდგა პროლეტარიატი, იმიტომ რომ ჩვენ მთელი ჩვენი არსებით გავიმსჭვალეთ ამ ბრძოლით, იმიტომ, რომ, მიუხედავად ყველა შეცდომებისა, ჩვენ ვგრძნობდით, რომ ეს იყო ბრძოლა დიდი მასების, ეს იყო ბრძოლა ასი ათასეულ მუშების, იმიტომ რომ ამ ბრძოლაში გერმანიის პროლეტარიატმა დიდი მსხვერპლი გაიღო და ბევრი სისხლი დაღვარა. აი რატომ არის განმტკიცებული ჩვენში რწმენა, რომ, მიუხედავად ყველა შეცდომებისა, აქ არის რაღაც, რასაც ჩვენ მთელი ჩვენი ძალებით მხარი უნდა დავუჭიროთ. უკვე არ არის ლაპარაკი ბაკუნისტურ „პუტჩზე" იმაზე, რომ პარტია დაიღუპა, როგორც ამას ამბობს ლევი თავის ბროშურაში. ამ გვარად ხიდი გადებულია და სავსებით შესაძლებელია შეთანხმება. რასაკვირველია, ინტერნაციონალს უნდა ქონდეს გარკვეული გარანტია, რომ ცენტრალური კომიტეტი სრულის შეგნებით შეასრულებს, ამ კონგრესის დადგენილებას რომ ისინი არ დარჩებიან ქაღალდზე, არამედ იქნებიან გატარებული ცხოვრებაში. არავითარ შემთხვევაში არ არის დასაშვები გათიშვა პარტიაში. თავის მხრივ, აგრეთვე, ოპოზიციამ უნდა წარმოგვიდგინოს ჩვენ გარანტია. ყოვლად დაუშვებელია, რომ გერმანიის გაერთიანებულ კომუნისტურ პარტიის შემადგენლობაში ადგილი ექნეს ცალკე ჯგუფებს. თუ ამხანაგებს ოპოზიციიდან პასუხისმგებლობის სრული შეგნებით სურთ შეასრულონ კონგრესის დადგენილებანი, მათ დაუყონებლივ უნდა დაშალონ ოპოზიციონური ჯგუფი „საბჭო". მე, მაგალითად, გუშინ გადმომცეს, რომ დეიმიგი ორგანიზაციურად აწყობს ოპოზიციის რაიონულ კონფერენციებს. არ ვიცი მართალია ეს თუ არა, მაგრამ ასეთ რამეს ბოლო უნდა მოეღოს.

რამდენიმე სიტყვა უნდა ვსთქვა ჩეხო-სლოვაკიის პარტიაზე. ამხ. ბურიანი ფიქრობს, რომ ამ პარტიაში გარდა კომუნისტურისა არ არის სხვა მიმდინარეობანი. ეს მართალია იმდენად, რამდენად ჩეხო-სლოვაკიის პარტია ჯერ კიდევ სავსებით არ ჩამოყალიბებულა ორგანიზაციულად და რამდენად ჯერ კიდევ არ უჩენია თავი პარტიაში მიმართულებათა ბრძოლას. მელმა განაცხადა აქ, რომ ბურჟუაზიული იდეოლოგია, ეს მის მაჩვენებელია, რომ ის საკმაოდ ვერ იცნობს ჩეხო-სლოვაკურ პარტიას. ჩვენ გვაქვს ცოტა რამ სათქმელი შმერალზე, მაგრამ სავსებით ცხადია, რომ შმერალისთანა ამხანაგების ბურჟუაზიულ იდეოლოგიად ჩათვლა გაზვიადებულია. ეს მხოლოდ დახმარებას უწევს ცენტრისტულ მიმდინარეობას. ამგვარად ჩეხო-სლოვაკიის პარტია არის კარგი, პროლეტარულ-მასსიური პარტია, მაგრამ ჯერ კიდევ იმყოფება კომუნისტურ შეგნების ჩამოყალიბების პროცესში. ცოტა ხანია, რაც ის გათავისუფლდა სოციალ-დემოკრატიულ და ცენტრისტულ ელემენტებისაგან. ეხლა ის შედის განვითარების ახალ ფაზაში, გულით და სულით, რომ შემდეგი მისი განვითარება წასულიყოს წყნარად, უკატასტროფოდ და გაუთიშველად. მაგრამ ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ პარტია ჯერ კიდევ ბევრს განიცდის. აი, მაგალითი: გუშინ ამხ. ბურიანი ამტკიცებდა, რომ პარტიაში არ არსებობს მიმართულებათა არავითარი ბრძოლა, მაშინ როცა აი გაზეთი, რომელიც მოგვითხრობს 10 000 მუშების კრების შესახებ კოპრამოში, სადაც საჭიროდ სცნეს პარტიის გაწმენდა ოპორტუნისტურ ელემენტებისაგან. მაშასადამე, ჩეხო-სლოვაკიის პარტიის თავს ზევით ცა არც ისეა მოწმენდილი. ჩვენ მხოლოდ იმედს გამოვსთქვამთ, რომ პარტია გადაიტანს გარდაუვალს უფრო უმტკივნეულოდ და რაც მეტად იქნება იგი მომზადებული ამისათვის, მით უფრო ადვილი იქნება მისთვის ამის დაძლევა.

ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ბოლოს და ბოლოს შევძლებთ მოვნახოთ საერთო ხაზი. ეგებ ვინმემ სთქვას, რომ ეს არის მარჯვნით წასვლა. ეს იქნება გაუგებრობის დამამტკიცებელი. მეორე კონგრესის მონაწილეთ ახსოვს რომ ჩვენ მაშინაც გვქონდა ბევრი საქმე ეგრედ წოდებულ მემარცხენეებთან, და სუყველა ის, რაც კონგრესმა დაადგინა, იყო მემარჯვენეთა და ცენტრისათვის თავ ზარ დამცემი. და მე ვფიქრობ, რომ ამ ვაჟბატონებისათვის ჩვენი მესამე კონგრესის დადგენილებანიც უფრო თავზარ დამცემი იქნებიან.

შემდეგ გამოდის გერმანიის კომუნისტურ პარტიის ოპოზიციის წარმომადგენელი ტელმანი. ამხ. ზინოვიევი,—ამბობს იგი,—აქ გვიხატავს პროვოკაციის საშიშროებას, რომელიც ახალგაზრდა კომუნისტურ პარტიებს ემუქრება ბურჟუაზიის მხრით საქმესთან ასეთი მისვლა გადაჭრით უნდა უკუვაგდოთ. კომუნისტურ ინტერნაციონალში არ შეუძლია არსებობა ხელოვნურად ერთმანეთში შეკავშირებულ მოწინააღმდეგე ტენდენციების. ცენტრისტების მიმართულება რომელიც ამტკიცებს, რომ ჩვენ მხოლოდ მაშინ შეგვიძლია ბრძოლა მივიღოთ, როცა ჩვენს მხარეზე პროლეტარიატის უმრავლესობაა, არა ნაკლებ საშიშროებას წარმოადგენს, ვიდრე პროვოკაცია ბურჟუაზიის მხრით, ვინაიდან ეს აძლიერებს ბურჟუაზიის პოზიციას. მარტის გამოსვლა არის შედეგი, ერთის მხრით, ბურჟუაზიის ცბიერობისა, რომელმაც დააყენა პროლეტარიატი ქუჩაში გამოსვლის აუცილებლობის წინაშე, მეორეს მხრით, მასის რევოლიუციონურ თავშეუკავებლობისა, რომ მარტის გამოსვლების დროს პარტია ძველებურად დაკმაყოფილებულიყო მარტო დემონსტრატიული პროტესტებით, მასები ამას ვერას გზით ვერ გაიგებდნენ და არ გვაპატიებდნენ იმას, რომ იმათი საბრძოლველად გამოსული შუა გერმანელი ძმები მანსფელდში მარტონი იყვნენ დატოვებულნი მტრების ველურ თვითნებობის ხელში. მარტის გამოსვლების თვით ფაქტმა გამოამჟღავნა მასების რევოლიუციონური მოუთმენლობა, რაც კაპიტალისტურ საზოგადოების რღვევის მომასწავებელია და აგრეთვე იმისა, რომ მასები ბრძოლისათვის მზად არიან. არ შეიძლება გერმანიაში არსებულ პირობების დაფასება ისე, როგორც ეს ამხ. ტროცკიმ ჩაიდინა დღიურ რიგის 1-ლი პუნქტის განხილვის დროს. გერმანიაში ჩვენ ვდგევართ მოწყვლობის შემცირებისა და უმუშევრობის ზრდის წინაშე, და გერმანიის პარტიამ უნდა გამოარკვიოს, არის თუ არა მის მხარეზე გერმანიის პროლეტარიატის უმრავლესობის თანაგრძნობა. ამისათვის ჩვენ ყველა პროფკავშირებში და ადგილობრივ ინსტიტუტებში ყოველთვის აღვნიშნავთ, რომ საყოველთაო გაფიცვა არსებითად უდრის შეიარაღებულ აჯანყებას. საჭიროა აგრეთვე აღინიშნოს, რომ ის ამხანაგები, რომელნიც აქამდის სთვლიდნენ მარტის გამოსვლებს ბაკუნისტურ აფეთქებად, კონგრესზე დარწმუნდნენ ასეთი აზრების სიყალბეში.

შემდეგ ორატორი მწვავეთ ახასიათებს ლევის ბოროტ საქციელ, რომელმაც ზურგში ჩასცა დანა პარტიას ისე, როგორც ეს ჩაიდინა კაუცკიმ 1918 წლის რევოლიუციის მიმართ. კრიტიკის თავისუფლების ლოზუნგით ხდებოდა პროლეტარიატის დეზორგანიზაცია და მუშათა მასების ამხედრება კომუნისტურ პარტიის წინააღმდეგ. ამხ. ზინოვიევი ამბობდა, რომ ჩვენ არ დაუშვებთ გერმანიაში მოხდეს გათიშვა. ჩვენ ხელთა გვაქვს საბუთები, რომ ზოგიერთი ამხანაგები, როგორც დეიმიგი, ბერლინში ორგანიზაციულად ემზადებიან გათიშვისათვის. და ეს საშიშროება გვემუქრება ჩვენ არა მარცხნიდან, არამედ მარჯვნიდან ე. ი. იმ ჯგუფიდან, რომელსაც ემხრობა ამხ. ცეტკინი და რომელიც შეადგენს თავის რაოდენობით მთელი პარტიის უმნიშვნელო უმცირესობას. მიუხედავათ ამისა, იმათმა გაბედეს აქ გამოსვლა და კონგრესის წინაშე თავის პოზიციის საჯაროდ დასაბუთება. საშიშია იმიტომ, თუ ერთის მხრით იმათ პოზიციას ანგარიშს უწევენ და იმავე დროს მიმართავენ იარაღს ამხანაგების წინააღმდეგ, რომელნიც, გამოდიან რა გერმანიის ეკონომიურ მდგომარეობიდან, სთვლიან თავიანთ თავს იძულებულად მოამზადონ პროლეტარიატი აქტიურ მოქმედებისათვის. ჩვენ ჰამბურგში დაშვებულ შეცდომებისაგან, ორგანიზაციულ დეფექტებისაგან, ყალბ თეორიულ დებულებიდან გამოვიყვანეთ სწორი დასკვნა და ამით გარდავქმენით ეს ბრძოლა არა პარტიის დამარცხებად, არამედ მის გამარჯვებად, ვინაიდან პარტია გამოვიდა ბრძოლიდან რაოდენობით გაძლიერებული.

შემდეგ ორატორი ჩერდება ცეტკინის სიტყვაზე, რომელიც სთვლის აუცილებლად კრიტიკის თავისუფლებას პარტიის ჩარჩოების გარეშე.

ორატორი ხედავს ამაში სურვილს დაიტოვოს საშუალება, რომ მომავალშიც აშკარად გაილაშქროს მარტის გამოსვლების დეფექტების წინააღმდეგ. ის სთვლის სრულებით დაუშვებლად, რომ ასეთ გაშმაგებულ [illegible] დროს, როგორიცაა აწარმოებენ ყოველ მხრივ კომუნისტურ პარტიის წინააღმდეგ, იმისი საკუთარი წევრები პარტიის გარეშე გამოდიოდნენ მისთვის სასიცოცხლო მოქმედებათა კრიტიკით.

ამხ. ტელმანი ფიქრობს, რომ ეს ძირითადად ეწინააღმდეგება დისციპლინის ცნებას კომუნისტურ პარტიაში და ხედავს ამაში და აგრეთვე რუსეთის დელეგაციის პოზიციაში, რომელიც, ორატორის აზრით, ასეთ ტენდენციებს კარს უღებს, გზ. ხ, რომელიც გვიმზადებს კრიზისებს და შექმნის გერმანიაში ძლიერ მძიმე მდგომარეობას პარტიისათვის.

სურათზე
(მიხა ცხაკაიას).

როს ვაცქერდები ამ შენს სურათს, წამს მაგონდება:
იალბუზის მთა ატყორცნილი იისფერ ცაში,
რომლის მკერდზე დაყრდნობილა ცას გუმბათები,
ვით სახლის დვირო ხუროს ჩაცმულს ტილოს ხალათში.

სურათსა სული ცოცხლად ეწვის, სიცოცხლე უჩქეფს:
ბაგენი შენი მოძრაობენ, ვით მეტყველის
მესმის შენი ხმა—ცეცხლოვანი სიტყვები სეტყავს
მტრისა ბანაკსა, რომლის ყოფნას ხსნა არ მიელის.

შენი ჭაღარა ბებერ მუხას არ მომაგონებს,
შენი თვალები კვლავ ცეცხლს აფრქვევს ახალგაზდისას,
შუბლი თვალუწვდენ ყვავილოვან ველსა მაგონებს,
და ეს წარბები—ცისარტყელას, ნიშანს დარისას.

როს ვაცქერდები ამ შენს სურათს წამს მაგონდება,
იალბუზის მთა ატყორცნილი იისფერ ცაში...

სანდრო ეული.

წითელ რესპუბლიკებში

რუსეთი

სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილება.

მოსკოვი. 20 სექტემბერი (რადიო) ს. კ. საბჭომ მიანდო ფინანსთა კომისარს აწარმოვოს ოქროს, პლატინის და საზღვარ-გარეთელ ვალიუტის შესყიდვა იმ ფასებში, რომლებსაც დაადგენს ფინანსების კომისარიატი უცხოულ ბაზარზე კურსთან შეფარდებით; ეს ფასები წინასწარ იქნება გამოცხადებული. ყველა დანარჩენ ორგანიზაციებს, დაწესებულებებს და კერძო პირებს ეკრძალებათ ამ საგნების შეძენა. ამ დადგენილების დარღვევას მოყვება თავისუფლების აღკვეთა და ამ ძვირფასეულობათა კონფისკაცია.

საზღვარ-გარეთელ გემების მოსვლა.

მოსკოვი, 20 სექტ. (რადიო). პეტროგრადში 18 სექტემბერს მოვიდა ნორვეგიული გემი ნახშირით და გერმანული გემი სარკინის-გზო მასალით.

ოდესაში მოვიდა იტალიური გემი ბრინჯით, ნავთით, საპნით და წამლეულობით.

მარიუპოლის ნავთსადგურში მოვიდა ინგლისური გემი 2,000 ტონი ქვანახშირით.

რკინის გზის აღმშენებლობა.

მოსკოვი, 19 სექტემბერი, (რადიო). ამა წლის პირველ ნახევარში რესპუბლიკაში დაგებულია რკინის გზა 3 000 ვერსის მანძილზე. ახლად აშენებულ ხაზებით უკვე სწარმოებს მატარებელთა მოძრაობა; გადაზიდულია საქონელი 20 მილ. ფუთამდე. ახალ ხაზს—პეტროპავლოვსკი—კოკჩეტავს ეხლა ყოველდღიურად გადააქვს 40 ვაგონამდე სურსათი.

კაპიტალიზმის სამეფოებში

პოლონეთი

ძალდატანებითი მობილიზაცია.

ლვოვი, 15 სექტ. (რადიო) პოლონელები განაგრძობენ აღმოსავლეთ გალიციის უკრაინელთა ძალდატანებითი მობილიზაციას.

პროფმოძრაობის ზრდა

ლონდონი, 2 სექტემბერი. პროფკავშირების საერთაშორისო საბჭომ გამოაქვეყნა ანგარიში პროფკავშირთა განვითარების შესახებ 20 უმთავრეს სახელმწიფოებში 1910 დან 1920 წლამდე. ამ ცნობებით, პროფკავშირებში შეკავშირებულ წევრთა რიცხვი 10 წლის განმავლობაში სამჯერ გაიზარდა: 1910 წელს ითვლებოდა 10, 5 მილიონი შეკავშირებული წევრი, ხოლო 1920 წელს 32, 68 მილიონი. 1920 წელს პროფკავშირებში შეკავშირებულ წევრთა რიცხვი საგრძნობლად გაიზარდა, როგორც ეს სჩანს პროფკავშირთა განვითარების შესახებ ცნობებიდან 5 უდიდეს სახელმწიფოში; ასე, შეკავშირებულ წევრთა რიცხვი ინგლისში იყო 1910 წ. 2, 4 მილიონი, 1920 წ. კი 8 მილიონი. შეერთებულ შტატებში—1910 წ. 2, 1 მილიონი, 1920 წ. 5, 6 მილ.; საფრანგეთში—1910 წ. 0,98 მილ., 1020 წ.—2,3 მილ., იტალიაში—1910 წ. 0 82 მილ., 1920 წ.—1,0 მილ.; ბელგეთში—1910 წ. 0,14 მილ., 1920 წ. 0,75 მილ.

მსოფლიო მოსავალი.

პარიზი, 8 სექტემბერი საერთაშორისო სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტმა რომში გამოაქვეყნა წინასწარი სტატისტიკური ცნობები მოსალოდნელ მსოფლიო მოსავლის შესახებ, ბელგეთსა, ბულგარეთსა, საბერძნეთსა და ისპანიაში. ამ სახელმწიფოებში მოსავალი აღწევს 69 მილ. ორმაგ ცენტერს, ე. ი. 2 მილიონით მეტია, ვინემ წარსულ წელს. მოსავალი კანადასა და შეერთებულ შტატებში უდრის 304 მილ. ორმაგ ცენტერს, ე. ი. 40 მილ. მეტია, ვინემ წარსულ წელს. ინდოეთსა და იაპონიაში მოსავალი ნაკლებია წარსულ წლისაზე და გამოიხატება ციფრით 75 მილ. ორმაგი ცენტერი წინააღმდეგ 110 მილიონისა, აფრიკის ახალშენები, ალჟირში, მოროკოსა და ტუნისში შეადგენს 18 მილიონს შარშანდელ 10 მილიონის წინააღმდეგ.

ქრონიკა

◆ **21 სექტემბრის უქმობა.** შრომის სახალხო კომისარიატის განკარგულებით, ყველა სახელმწიფო დაწესებულებებმა უნდა იუქმონ 21 სექტემბერი, როგორც წითელ ლაშქრის დღესასწაული და მეცადინეობა მათში არ უნდა წარმოებდეს.

◆ **სტამბების სამუშევრით ზედმეტი დატვირთვა,** ს. მ. უ. ს. პოლიგრაფიულ განყოფილების გამგებლობაში მყოფი სტამბები ამ ჟამად ავსილი არიან საჩქარო სამუშევრით, როგორც არის ბროშიურების, სამოსწავლო წიგნების და სხვა და სხვა საბჭოთა ორგანიზაციების და დაწესებულებების საკანცელარიო ქაღალდების ბეჭდვა. დიდ ნაკლეობას განიცდიან ასოთ ამწყობებში, განსაკუთრებით ქართული შრიფტის ამწყობებში.

თბილ. ქალაქ. რევკომის სახ. განათლების განყოფილებაში. განყოფილების მუშაობა გამოიხატა უმთავრესად: საბავშო სახლების, საბავშო ბაღების მოწყობაში და სკოლის რეფორმისათვის მოსამზადებელ მუშაობაში. აგვისტოს დასაწყისში თბილისში არსებობდა 5 საბავშო სახლი: ავლაბარში, ნათლუღში, ორთაჭალაში, ერმოლოვის და ალექსანდროვის ქუჩებზე. განზრახულია გახსნან კიდევ 5 სახლი. 2 უკვე გახსნილია. საბავშო სახლებში იმყოფებიან სულ 700 ბავშვი.

საქართველოს მშრომელი ქალთა განყოფილებების გამგეთა თათბირი

პარასკევს 16 სექტემბერს 1-ლ საბჭოთა სახლის დარბაზში (ყოფილი ნოეს სასტუმრო) გაიხსნა საქართველოს ქალთა ყველა განყოფილებების გამგეთა თათბირი.

გამგეები წარმოდგენილი იყვნენ ქუთაისიდან, ბათომიდან, ოზურგეთიდან, სენაკიდან, ახალციხიდან, სიღნაღიდან და სხვ.

თათბირი გახსნა ქალთა ცენტრალურ განყოფილების გამგემ ამხ. ს. დალნაიამ, რომელიც ამავე დროს არჩეული იქმნა თავმჯდომარედ ც.

ამხ. ს. დალნაიამ გააცნო თათბირს მოკლედ შეკრების მიზანი და შემდეგ სიტყვა მისცა ამხ. ფილიპე მახარაძეს მიმდინარე მომენტზე, მოხსენების გასაკეთებლად. ამხ. ფილიპეს მოხსენება ფრიად შინაარსიანი იყო, რამაც სრულიად დააკმაყოფილა ამხ. ქალები. შემდეგ გაკეთდა მოხსენებები თავიანთ განყოფილებებთა მუშაობის შესახებ: ცენტრალურ განყოფილებიდან,—ამხ. ს. დალნაიამ, თბილისის განყოფილებიდან—ამხ. ლ. წულიკიძემ, ბათომიდან,—ამხ. ლიდია გასვიანმა, ოზურგეთიდან—ამხ. მგალობლიშვილმა შემდეგ ქუთაისიდან, ახალციხიდან, ბორჩალოდან, სიღნაღიდან და სხვ.

მოხსენებებიდან გამოირკვა, რომ თითქმის ყველგან სწარმოებს მუშაობა და ნაყოფიერათაც. ხოლო ზოგან—კი, სადაც ეს მუშაობა შეფერხებული იყო, არ მიმდინარეობდა წესიერად, მოკლებული იყვნენ მცოდნე, გამოცდილი ამხანაგების დახმარებას შედეგიც მკრთალი, უმნიშვნელო იყო, ბევრ ადგილას ამხანაგები მოწყვეტილი არიან ცენტრიდან, მუშაობენ დამოუკიდებლად უინსტრუქციოდ. საერთოდ, როგორც დადებითი ისე უარყოფითი მხარეები მუშაობისა ქალთა შორის სოფლად თუ ქალაქად, გულახდილად მიუდგომლად იქმნა ამხ. გამგებისაგან თავიანთ მოხსენებებში აღნიშნული.

მოხსენებების კეთება ადგილებიდან ჯერ კიდევ არ დასრულებულა, გრძელდება.

თათბირს, საქმიანი ხასიათი აქვს რასაც თქმა არ უნდა დიდი პრაქტიკული შედეგი ექნება თავიანთ სამუშაო ადგილებზე უკან გამგზავრებულ განყოფილებებთა გამგე ამხ. ქალებისათვის.

ხევსატი

21 სექტემბრის დღესასწაულის პროგრამა

საქართველოს კომპარტიის კავკასიის განსაკუთრებულ ლაშქრის სამის წლის არსებობის დღესასწაულის მომწყობი ცენტრალურ კომიტეტთან არსებულ ცენტრალურ კომისიისაგან.

ცენტრალური კომისია ამით აცხადებს საყოველთაოსაცნობად ამ დღესასწაულის წესრიგს:

დღის 11 საათზე, ადგილობრივ დროით, თავისუფლების მოედანზე (ყოფილი ერევანის მოედანი) მოხდება კავკასიის ცალკე ლაშქრის ნაწილების აღლუმი, თანახმად ლაშქრის უფროსის ბრძანებისა.

აღლუმის მიღების შემდეგ მოედანზე გაიმართება მოკლე მიტინგი, რომლის ტრიბუნიდან საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტის სახელით ილაპარაკებს ამხ. ორახელაშვილი, ხოლო საქართველოს რევკომის სახელით—ამხ. კავთარაძე. მიტინგის დროს კავკასიის ცალკე ლაშქარს მის უფროსის სახით მიართმევენ საჩუქრებს—დროშას და რევოლიუციის მოღვაწეთა მხატვრულ ალბომს.

მიტინგის შემდეგ ჯარები ცერემონიალური მარშით გაივლიან და გაემართებიან რუსთაველის პროსპექტით იმ ადგილისკენ, სადაც ამხ. ლენინის ძეგლი უნდა გაიხსნას.

დილის 11 საათისათვის ქალ. თბილისის ყველა მუშები და მოსამსახურეები, შეკრებილნი თავ თავიანთ პროფკავშირებში, გამწკრივდებიან თავიანთ ბაირაღებით და სამუსიკო ორკესტრებით, დაწყებულ ყოფილ ოლღის ქუჩის და რუსთაველის პროსპექტის შესაერთებელ ადგილიდან სასახლის ქუჩის მიმართულებით, რუსთაველის პროსპექტის ჩრდილის მხარეზე (წყვილ ნომრების მხრით) ქვე მოხსენებულ რიგზე:

1.—რკინისგზელნი, 2—მელითონენი, 3—მეთამბაქოენი, 4—მეტყავენი, 5,—კომუნალურ მეურნეობაში მომუშავენი, 6—[illegible], 7) სამშენებლო მუშები, 8.—მიწისა და ტყის მუშაკნი, 9,—მკვებავნი, 10,—[illegible], 11—მედიკო-სანიტარულ განყოფილების მუშაკნი, 12,—საბჭოთა მოსამსახურენი, 13,—ხელოვნების მუშაკნი, 14,—სოციალისტურ კულტურის მუშაკნი, 15,—სამთომადნო მუშაკნ; მათ შემდეგ ყველა ის კავშირები, რომლებიც ჩამოთვლილნი არ არიან ზემოთ.

მოედანზე ზემოხსენებულ ქუჩების შესაერთებელ ადგილას, პატარა ბაღის გარშემო, რომლშიაც უნდა გაიხსნას ძეგლი, დადგებიან კომპარტიის წევრები, თბილისის კომიტეტის განსაკუთრებული რაზმი და კომუნ. ახალგაზრდობის კავშირის წევრები, რომლებსაც მიჰყვებიან ზემოხსენებული პროფკავშირები, დაწყებული პირველი ნომრიდან.

კავკასიის განსაკუთრებულ ლაშქრის ნაწილების რუსთაველის პროსპექტზე გავლის დროს, პროფკავშირები მიესალმებიან მათ და [illegible] გამგეთა ჩვენებით, გაემართებიან ამხ. ლენინის ძეგლისაკენ.

როცა ჯარები მივლენ პატარა ბაღთან ყოფილ ოლღის ქუჩის დაწყებისას, ზეიმით გაიხსნება ძეგლი, დაუკრავენ ინტერნაციონალს, რომელსაც შეასრულებენ შეერთებული ორკესტრები და ხოროები, რომლებიც იდგებიან გრიბოედოვის ქუჩის აღმართზე,—რის შემდეგ ოლღას ქუჩას დაარქმევენ ლენინის ქუჩის სახელს და სიტყვებს წარმოსთქვამენ ამხ. ფიგატნერი და მახარაძე.

მიტინგის დასრულების შემდეგ ჯარები და პროფკავშირები მიდიან ვერის თავდადმართით თავთავიანთ ბინებზე.

ნაშუადღევის 3 საათზე საქართველოს წითელ ლაშქრის კლუბის ბინაზე გაიმართება საზეიმო რაუტი, რომელსაც აწყობს კავკასიის ცალკე ლაშქარი.

საღამოს 7 საათზე თეატრებსა, კლუბებსა და კინემატოგრაფებში დაიწყება წარმოდგენები და კონცერტი მიტინგები, რომლების დროს გამოვლენ ორატორები, თანახმად შემდეგი პროგრამისა:

1. ქალაქის სახალხო სახლი კიროჩნი ქუჩაზე—ოპერა „ფაუსტი", ილაპარაკებენ ამხ. ტოროშელიძე და დონენკო.

2. პირველი რევოლიუციონური თეატრი (პლეხანოვის ქ № 70)—პიესა „ცისკარი" ქართულ ენაზე, ილაპარაკებენ ამხ. ელიავა და ოდილავაძე.

3 საქართველოს წითელ ლაშქრის კლუბი (სასახლის ქუჩა):

საზამთრო ბინაზე—ფარიფურის კურანტები, ბინაზე—კონცერტი მიტინგი, ილაპარაკებენ ამხ. ლისოვსკი და სვანიძე.

კლუბებში:

პირველი ცენტრალური მუშათა კლუბი (პლეხანოვის ქუჩაზე)—„დიდებული კომუნარი" რუსულ ენაზე და კონცერტი-მიტინგი, რომლის დროს გამოვლენ ამხ. მახარაძე და დუმბაძე.

ორთაჭალაში—ხარფუხი, „საიდუმლო მრჩევლის სიზმარი", სომხურ ენაზე და „უცნაური"—ქართულ ენზე და კონცერტ-მიტინგი, რომლის დროს გამოვლენ ამხ. ბეგზადიანი და ათაბეგოვი.

ავლაბარში (კახეთის მოედანი)—„დამარცხებული" ქართულ ენაზე და კონცერტ-მიტინგი, გამოვლენ ყურულაშვილი და [illegible]

მილიციის კლუბი (პლეხანოვის პრ. № 79)—„რევოლიუციის ნაპერწკალი", „ძუნწი" ქართულ ენაზე და კონცერტი მიტინგი. გამოვლენ ამხ. მამულაიშვილი და კვირკველია.

კომუნალურ მეურნეობის მუშაკთა კლუბი (ტივოლი—მიხაილოვის ქ. № 92,—„წითელი გენერალი", „პარიზის კომუნა" რუსულ ენაზე და კონცერტი მიტინგი. გამოვლენ ამხ. [illegible] და ივანოვი.

მიხა ცხაკაიას სახელობის კლუბი (სატირ აგიტი)—„მეფის დალაქი", გამოვლენ ამხ. ლეკრანი და სტურუა.

კონცერტების პროგრამა

მომღერლები ქალები და ვაჟები არაყიშვილის ხორო, დეკლამაცია, ბალეტი, გარმონისტი.

კინემო თეატრებში:

„არფანტი"—რუსთაველის პროსპექტი—„ფიქრები".

„აპოლო"—პლეხანოვის ქუჩა—„დაუნდობელი [illegible]".

„ალკრე"—პლეხანოვის ქუჩა—„დამარცხებული სული".

„სახალხო თეატრი"—ჩერქეზოვის ქუჩა—„თავისუფლებისთვის მებრძოლნი".

შუშხუნები.

დაბნელებისას აუშვებენ შუშხუნებს ექვს ადგილას: საქართველოს წითელ ლაშქრის კლუბში სასახლის ქუჩაზე და ქალაქ გარეთ მთაწმინდის ფერდობზე და არსენალთან.

სხივის გაზეთი.

საღამოთი რაიონებში ავტომობილიდან უჩვენებენ პოლიტ. განათლების მთავარ მმართველობის სხივის გაზეთს დღესასწაულის შესახებ.

პლაკატები.

გარდა მხატვრულ პლაკატებისა, რომლებიც ქუჩებსა და დიდ შენობებზე იქნებიან გაკრული, ყველა სამხედრო და სამოქალაქო კლუბებს დაურიგებენ პლაკატებს კლუბების შიგნიდან მოსართავად.

ცენტრალურ კომისიის თავმჯდომარე, საქართველოს კომპარტიის ცენტრ. კომიტეტის მდივანი ორახელაშვილი

ცენტრ. კომისიის წევრი, პოლიტიკურ განათლების მთავარ მმართველობის თავმჯდომარე ხ. ჯაჭურიძე.

პროვინციაში

შუხუთის თემი (გურია)

წავიდა და მოკვდა ის ბედნიერი, დრო, როცა ამ სოფლის ახალგაზრდობა მენშევიკებს თანაუგრძნობდა და ყოველივე მათ სიტყვას უკომენტარიოთ ღებულობდა, ეს იყო მხოლოდ რევოლიუციის ხანაში (1917 წ.) მაგრამ როცა მენშევიზმმა თავისი თეთრი კბილები გამოაჩინა, [illegible] რომ მენშევიკური, „საქმიანი" პრაქტიკა წარმოადგენს ერთ გრძელ სიცრუის ძაფს, ახალგაზრდობამაც პირი იბრუნა „ხნიერ" მამებისაგან. მიუხედავათ დევნა შევიწროვებისა არალეგალობის დროსაც შეიძლო მან დაეარსებინა თავისი ორგანიზაცია და საკმაო რიცხვი ახალგაზრდობისა თავის გარშემო შემოეკრიბა. რაღა გასაკვირია, რომ დღეს, როდესაც ძალა-უფლება თვით მუშათა კლასს ხელთ უპყრია, ამხანაგები დიდის ენერგიით ეკიდებიან ჩვენი კავშირში მუშაობას. გადატრიალების პირველ დღიდგან ჩვენი ამხანაგები უფროს ამხანაგებთან ერთად მონაწილეობას ღებულობდნენ, წესრიგის აღდგენაში და სხვა. დღეს უფროსი ამხ. დიდ დახმარებას გვიწევენ კავშირის მუშაობაში. საერთო კრებები იმართება კვირაში ერთხელ, კვიროობით. სწა[illegible] ღირსია ამხ. ა. ჭიჭილეიშვილი, რომლის დახმარებით ვიშოვეთ ბიუროს სადგომი (და სხვა საჭირო ინვენტარი),—სადაც ახალგაზრდა ამხ. ყოველ საღამოით იკრიბებიან და კითხულობენ. გაზეთებს, ბროშურებს, და სხვა.

ვუსურვებთ შუხუთის ახალგაზრდა ამხანაგებს მომავალში უფრო ენერგიულად განეგძოთ თავისი მუშაობა.

ხ. იმნაიშვილი.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დადგენილება

შრომის სახალხო კომისარიატისა საბეითლო პერსონალის მობილიზაციის შესახებ.

საქართველოს რევოლიუციონურ კომიტეტის მიერ ა. წ. აგვისტოს 31-ის მიღებულ № 59 დადგენილების ცხოვრებაში განხორციელებისათვის შრომის სახალხო კომისარიატი მიწათ მოქმედების სახალხო კომისარიატის საბეითლო განყოფილებასთან შეთანხმებით, ადგენს:

1. ყველა ბეითალი და საბეითლო ფერშალი 55 წლამდე, როგორც სამსახურში მყოფნი, აგრეთვე ისინი, ვინც თავის დარგში არ მსახურობს, სახელმწიფო, საზოგადოებრივ, კოოპერატიულ ან კერძო დაწესებულებასა და საავადმყოფოში, მობილიზებით იქნენ გაწვეული.

2. აღნიშნულ კატეგორიის მოქალაქენი ამა დადგენილების გამოქვეყნებისთანავე სამი დღის განმავლობაში ვალდებული არიან გამოცხადდენ მუშა ხელის აღრიცხვა-განაწილებას უახლოეს განყოფილებაში და ორ ცალად შეავსონ სამობილიზაციო ბარათები შემდეგი ფორმით: 1) სახელი, მამის სახელი და გვარი, 2) წლოვანება, 3) განათლება, რომელი სასწავლებელი გაათავა და როდის, 4) რა თანამდებობა ეჭირა ან რა საქმეს ასრულებდა საბეითლო დარგში, როდის და რამდენი ხნის განმავლობაში 5) ბეითლობის რა დარგი აქვს სპეციალობად აღებული და მონაწილეობდა თუ არა მიარულ სენთან (ჭირთან, საქონლის შავი ჭირი და სხვა) ბრძოლაში, როდის და რამდენი ხნის განმავლობაში, 6) დღევანდელი თანამდებობა ან პროფესია 7) ოჯახური მდგომარეობა 8) გაწვეულის ბინადრობის ადგილი.

სამსახურისა და ბინადრობის მოწმობებს მათი პატრონის რეგისტრაციის ნიშნად უნდა დაესვას მუშა ხელის აღრიცხვა განაწილების განყოფილების ბეჭდით.

შენიშვნა: 1. პირველ მუხლში აღნიშნული მოქალაქენი, ვინც სოფლად ცხოვრობს, სარეგისტრაციოთ უნდა გამოცხადდენ უახლოეს სარაიონო რევ. კომიტეტში.

შენიშვნა: 2. აღრიცხვის ბარათის ერთი ცალი მუშა ხელის აღრიცხვა-განაწილების განყოფილებიდან სასწრაფოდ ეგზავნება მიწათ-მოქმედების სახალხო კომისარიატის საბეითლო განყოფილებას.

3. მობილიზაცია არ ეხება იმ პირთ, ვინც მსახურობს სამხედრო უწყების ნაწილებში, სამმართველოებსა და დაწესებულებებში.

შენიშვნა: საბეითლო მუშათა სამხედრო უწყების დაწესებულებებისა და მმართველობიდან გამოყვანა შეიძლება მოხდეს ყოველ ცალკე შემთხვევაში შრომის სახალხო კომისარიატისა და საქართველოს მთავარ შტაბის ერთმანეთთან შეთანხმებით.

4. დაწესებულების ადმინისტრაცია სადაც ბეითლები მუშაობენ, მოვალეა თავის ასეთ თანამშრომელთა შესახებ შეადგინოს ორ ცალად სია და შრომის სახალხო კომისარიატისა და მიწათ მოქმედების სახალხო კომისარიატის საბეითლო განყოფილებაში წარუგზავნოს, სადაც უნდა აღნიშნოს ის თანამდებობა, რომელზედაც მობილიზაციაში გაწვევის დროს თანამშრომლათ ირიცხება.

5. ის პირნი, ვისაც ეს მობილიზაცია ეხება და ვინც სასურსათო ორგანოებში საპასუხისმგებლო თანამდებობებზე ირიცხება, ადგილებიდან მოიხსნებიან სასურსათო სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით.

6. მობილიზაციით გაწვეულთა ადგილ-ადგილ დანაწილებას მიწათ-მოქმედების სახალხო კომისარიატის საბეითლო განყოფილების დავალებით და გეგმით აწარმოებს შრომის სახალხო კომისარიატის მუშა ხელის აღრიცხვა-განაწილების განყოფილება შრომისა და მიწათ მოქმედების სახალხო კომისარიატების სათანადო ორგანოთა საშუალებით.

შენიშვნა: სამხედრო სამსახურში გასაწვევ პირთა განაწილება ხდება მთავარ სამხედრო-საბეითლო მმართველობასთან შეთანხმებით.

7. აღრიცხული პირნი ვალდებულნი არიან ბინადრობის და სამსახურის გამოცვლა დაუყონებლივ აცნობონ მუშა-ხელის აღრიცხვა-განაწილების იმ განყოფილებას ან ქვე განყოფილებას, სადაც ისინი ირიცხებიან. ეს განყოფილებანი ასეთ პირთა პირადობის სიებს ჰგზავნიან ახალ მისამართის მიხედვით მუშა-ხელის აღრიცხვა განაწილების და საბეითლო ორგანოებში.

8. იმ დაწესებულებათა, სადაც მსახურობენ მობილიზაციით გაწვეულნი პირნი, უფლება აქვთ ასეთ პირთათვის ვადის განგრძობის შესახებ იშუამდგომლონ მუშა-ხელის აღრიცხვა განაწილების ადგილობრივ ორგანოთა საშუალებით ცენტრალურ კომისიის წინაშე, რომელიც შრომის სახალხო კომისარიატს აღრიცხვა-განაწილების განყოფილებასთან არსებობს და ასეთ შუამდგომლობათ იხილავს მიწათ მოქმედების სახალხო კომისარიატის საბეითლო განყოფილების წარმომადგენელთა მონაწილეობით. კომისიის ცენტრალ გადაწყვეტილება, რომელსაც შრომის სახალხო კომისარიატი ამტკიცებს, საბოლოოთ ითვლება.

შენიშვნა: სამხედრო სამსახურში გასაწვევ პირთა ვადას უგრძელებს საბეითლო სამმართველოსთან არსებული საბეითლო პერსონალის სამობილიზაციო კომისია.

9. ძველ სამსახურზე დატოვების შესახებ შუამდგომლობა უნდა აღიძრას მეორე მუხლში აღნიშნულ ფორმით (ერთ ცალად) ამა დადგენილების გამოქვეყნების მერე ორი კვირის განმავლობაში.

ამ ვადის გასვლის შემდეგ შუამდგომლობა აღარ განიხილება.

შრომის სახალხო კომისრის მოადგილე ა. მიქაძე.

საქმეთა მმართველი მ. ბერძნიშვილი.

წესი

კახეთის რკინის გზის შესაკეთებლად შრომის ბეგარის გატარებისა

ასასრულებლად საქართველოს ს. ს. რესპუბლიკის რევოლიუციონური კომიტეტის ა. წ. სექტემბრის 15 ის № 70 დადგენილებისა.

შრომის სახალხო კომისარიატი აწესებს შრომის ბეგარას კახეთის რკინის გზის ჩალოუბნის რაიონის შესაკეთებლად და აცხადებს შემდეგ წესს:

1. შრომის ბეგარის გატარება ევალება სიღნაღის და თელავის შრომის განყოფილებებს, (აგრეთვე შრომის ინსპექციას). რომელნიც შრომის ბეგარის გატარების დროის შესახებ უნდა შეუთანხმდნენ გზის შეკეთებაზე მუშაობის ხელმძღვანელთ.

2. როდესაც გამორკვეული იქნება შრომის ბეგარის გატარების დრო, შრომის განყოფილება აცხადებს მთელ მაზრაში მამაკაცების მობილიზაციას 18—50 წლამდე და მიუწერს სოფლის რევკომებს, რათა ისინი დაუყონებლივ შეუდგნენ მობილიზაციის ცხოვრებაში გატარებას, ამისათვის შრომის განყოფილება სოფლის რევკომებს უგზავნის შრომის ბეგრის გატარების შესახებ სახელმძღვანელოებს და ინსტრუქციებს.

3. შრომის ბეგარით გაწვეულთა რიცხვის, აგრეთვე მის დაწყების და სოფლიდან ბეგარაზე ხალხის გამოყვანის დროს მხედველობაში უნდა იქმნეს მიღებული სოფლის მეურნეობის ინტერესები, და ამისათვის დაინიშნოს ისეთი ვადა და შემუშავდეს ისეთი წესრიგი შრომის ბეგრის გასატარებლად, რომ სოფლის მეურნეობა არ შეფერხდეს. ამ მიზნით საჭიროა შრომის განყოფილებათ ჰქონდეთ მჭიდრო კავშირი მიწათ მოქმედების განყოფილებასთან.

4 აღნიშნულ სამუშაოსათვის საჭიროა რომ შრომის ბეგრით იქნენ გაწვეულნი, როგორც ახლო მახლო თემებიდან, აგრეთვე ქალაქიდანაც საჭირო რიცხვი მოქალაქეებისა შინაგან მმართველობის განყოფილებების დახმარებით.

5. დაკისრებულ საქმის ცხოვრებაში სისწორით გასატარებლად შრომის განყოფილება ა) იწვევს თათბირს შინაგან მმართველობისა და მიწადმოქმედების განყოფილებათა წარმომადგენლებისაგან, ბ) შრომის ბეგრის გატარების საქმეში რევკომების დასახმარებლად თავის დროზე ღებულობს მისგან დამოკიდებულ ზომებს, გ) თვალყურს ადევნებს სოფლის რევკომებიდან მუშათა ჯგუფების თავის დროზე მოწოდებას, [illegible] დაუყოვნებლივ ატყობინებს შრომის სახალხო კომისარიატს ყოველ სერიოზულ დაბრკოლებების შესახებ და აგრეთვე იმ პირთა თაობაზე, ვინც შრომის ბეგრის ცხოვრებაში ნორმალურ გატარებას ხელს უშლის, დამნაშავეთა პასუხისგებაში მისაცემად, დ) თვალყურს ადევნებს, რომ არ იქნეს შემთხვევები მუშაობის ადგილიდან გაქცევისა და დეზერტირობისა და ღებულობს ყოველივე ზომებს შრომის დეზერტირების დასჯელად, რასაც აცნობებს შრომის სახალხო კომისარიატს, ე) საქმის მიმდინარეობისა, მუშა ხელის გამოყენებისა და მუშაობის შედეგის შესახებ მოახსენებს შრომის სახალხო კომისარიატს.

6. შრომის ბეგრის გატარების დროს შრომის განყოფილება მოვალეა გაუწიოს კონტროლი, რომ შრომის დაცვის კანონები ბეგარაზე გაწვეულთა მიმართ სასტიკად იქნას დაცული.

7. შრომის განყოფილების ზემოაღნიშნული დავალებების შესასრულებლად მეხუთე მუხლში აღნიშნული თათბირი შრომის ბეგრის გატარებაში მონაწილეობის მიღებად მუშაობის გათავებამდე, ნიშნავს მუშაობის წარმოების ადგილას ერთს მუდმივ პასუხისმგებელ წარმომადგენელს, რომელიც მოვალეა იმ დავალებათა აღსრულებისა, რაიც შრომის განყოფილებას აქვს დაკისრებული:

ა) გზათა ადმინისტრაციის ჩაბაროს მიღებული მუშები,

ბ) მიიღოს მონაწილეობა შრომის ბეგრით გაწვეულთა ალაგ-ალაგ დანაწილებაში.

ვ) თვალყური ადევნოს, რომ შრომის ბეგრით გაწვეულებმა თავის დროზე მიიღონ ჯილდო.

გ) მიიღოს და გადაგზავნოს ყოველგვარი საჩივარი შრომის ბეგრით უკანონოთ გაწვევისა და შრომის დაცვის კანონების დარღვევის შესახებ.

დ) სამაზრო შრომის განყოფილებას სისტემატიურად უგზავნის ცნობებს მუშაობის წარმოებისა, ბოროტმოქმედებისა და დარღვევის შესახებ.

შრომის სახალხო კომისრის მოადგილე მიქაძე.

საქმეთა მმართველი მ. ბერძნიშვილი.

სარედაქციო კოლეგია.

განცხადებანი

განცხადებანი მიიღებიან მხოლოდ ნაშუადღევის 2 საათამდის.

თბილისის სამაზრო მუშურ გლეხური ინსპექციის გან. თბილისის მაზრის მუშურ გლეხური ინსპექცია ამით აცხადებს, რომ თბილისის მაზრის მუშურ გლეხური ინსპექციის მისი საჩივართა ბიუროს ქვე განყოფილებით, ქალაქის მუშურ-გლეხურ ინსპექციისადმი შეერთების გამო, ამის გამოცხადებიდან ყოველგვარი საჩივრები და განცხადებანი მიიღებიან ქალაქის მუშურ გლეხურ ინსპექციაში; ყოფილ ქალაქის გამგეობის შენობაში (თავისუფლების მოედანი).

ტირაჟი 10.000 ნ. დ. ხ. გ.

[illegible] № 4.